დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №24
2025 წლის 26 ივნისი

ქ. დმანისი

დმანისის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 31 ივლისის დადგენილება №25 - ვებგვერდი, 05.08.2025წ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ.თ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1^1 პუნქტის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დმანისის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე სისტემური მუშაობისა და საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად შეიქმნას „ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო.

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 31 ივლისის დადგენილება №25 - ვებგვერდი, 05.08.2025წ.

მუხლი 2

დამტკიცდეს „დმანისის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს“ დებულება დანართ №1-ის შესაბამისად.

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 31 ივლისის დადგენილება №25 - ვებგვერდი, 05.08.2025წ.

მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 აგვისტოს №17 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 23/08/2017, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.156.016265).

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

დანართი №1

დმანისის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს დებულება

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 31 ივლისის დადგენილება №25 - ვებგვერდი, 05.08.2025წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „დმანისის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო“ (შემდგომში „საბჭო“) არის დმანისის მუნიციპალიტეტში (შემდგომში „მუნიციპალიტეტი“) ქალთა და

ბავშვთა საკითხებზე სისტემური მუშაობისა და საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (შემდგომში „საკრებულო“) მიერ შექმნილი საბჭო, რომლის სტატუსი, მიზნები, ფუნქციები, უფლებამოსილება, შემადგენლობა, სტრუქტურა, საქმიანობის წესი და ანგარიშვალდებულება განისაზღვრება ამ დებულებით და საკრებულოს რეგლამენტით.

2. საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის, ამ დებულებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

3. საბჭო იქმნება განუსაზღვრელი ვადით.

4. საბჭოს სამუშაო და საქმისწარმოების ენაა საქართველოს სახელმწიფო ენა.

5. საბჭოს ადგილსამყოფელია ქალაქი დმანისი, წმინდა ნინოს ქუჩა №41.

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 31 ივლისის დადგენილება №25 - ვებგვერდი, 05.08.2025წ.

მუხლი 2. საბჭოს საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიზნები

1. საბჭოს საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

ა) კანონიერება;

ბ) თანასწორობა;

გ) საჯაროობა;

დ) მიუკერძოებლობა;

ე) კოლეგიურობა;

ვ) ანგარიშვალდებულება.

2. საბჭოს მიზანია მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე სისტემური მუშაობა მათი უფლებების დაცვისა და საჭიროებების უზრუნველსაყოფად.

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 31 ივლისის დადგენილება №25 - ვებგვერდი, 05.08.2025წ.

მუხლი 3. საბჭოს ძირითადი ამოცანები და უფლებამოსილება

1. საბჭოს ძირითადი ამოცანებია:

ა) ქალთა და ბავშვთა საჭიროებების ანალიზი, შეფასება, პრიორიტეტების განსაზღვრა და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, საბჭოს მიერ განსახორციელებელი სამოქმედო გეგმის შემუშავება, საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა და დამტკიცებული სამოქმედო გეგმის შესრულების კოორდინაცია;

ბ) ქალთა და ბავშვთა საჭიროებების ანალიზი, შეფასება, პრიორიტეტების განსაზღვრა და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგრამების შესამუშავებლად აღმასრულებელი ორგანოსთვის წინადადებების მომზადება და რეკომენდაციების გაცემა;

გ) ქალთა და ბავშვთა უფლებების დარღვევის აღმოფხვრის მიზნით მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების ანალიზი, საჭიროების შემთხვევაში წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება;

დ) ქალთა და ბავშვთა დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის პრევენციის მიზნით, მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დოკუმენტის, პროგრამების, გეგმებისა და ბიუჯეტის პროექტების განხილვა, შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება;

ე) დმანისის მუნიციპალიტეტის ორგანოების სამართლებრივი აქტების და მათი პროექტების ექსპერტიზა ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის შეფასების თვალსაზრისით, საჭიროებისამებრ წინადადებების შემუშავება და შესაბამისი ორგანოსათვის წარდგენა;

ვ) ქალთა და ბავშვთა საკითხებზე არსებული სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამებისა და სერვისების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და ინფორმაციის პერიოდულად გავრცელება;

ზ) ქალთა და ბავშვთა საკითხებზე ცნობიერების ამაღლებისა და მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების მიზნით მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ შესრულებული ან/და მიმდინარე აქტივობების მონიტორინგი და შეფასება;

თ) საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან თანამშრომლობა, შესაბამისი ინფორმაციისა და წინადადებების მიწოდება.

ი) საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი, საჭიროების შემთხვევაში ქალთა და ბავშვთა უფლებების დარღვევის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად წინადადებების შემუშავება და საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიისთვის წარდგენა;

კ) ქალთა და ბავშვთა საჭიროებებზე დაყრდნობით ცალკეული ღონისძიებების შემუშავება, დაგეგმვა და მონაწილეობის მიღება;

ლ) ქალთა და ბავშვთა საკითხებზე განხორციელებული ღონისძიებების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავებისა და დანერგვის მიზნით რეკომენდაციების მომზადება;

მ) ქალთა და ბავშვთა უფლებების დარღვევის შესახებ წარდგენილი განცხადებების, დოკუმენტაციის და სხვა ინფორმაციის განხილვა, კომპეტენციის ფარგლებში მათზე რეაგირების მოხდენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

ნ) ქალთა და ბავშვთა საკითხებზე ინტეგრირებული საგანმანათლებლო და სხვა სახის ღონისძიებების ჩატარება.

2. საბჭოს უფლება აქვს:

ა) ჩაატაროს თემატური მოკვლევა მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საჭიროებების დასადგენად, შეისწავლოს მოკვლევის საფუძველზე გამოვლენილი გამოწვევები, მოამზადოს წინადადებები და რეკომენდაციები;

ბ) ითანამშრომლოს სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საჭიროების შემთხვევაში, მოიწვიოს სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები, შესაბამის დარგში მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები და სპეციალისტები;

გ) საბჭოს კომპეტენციაში შემავალი საკითხების შესწავლისა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავების მიზნით შექმნას სამუშაო ჯგუფები ექსპერტებისა და სპეციალისტების მონაწილეობით;

დ) მოითხოვოს და მიიღოს ქალთა და ბავშვთა საკითხებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია

და დოკუმენტაცია, რომელიც აუცილებელია საბჭოს ფუნქციების განსახორციელებლად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) განახორციელოს მისთვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილება, რომელიც ამ დებულებაში პირდაპირ არ არის მითითებული, მაგრამ აუცილებელია საბჭოს ამოცანების შესასრულებლად.

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 31 ივლისის დადგენილება №25 - ვებგვერდი, 05.08.2025წ.

მუხლი 4. საბჭოს სტრუქტურა და შემადგენლობა

1. საბჭო შედგება საბჭოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, საბჭოს მდივნისა და სხვა წევრებისგან. საბჭოს წევრთა რაოდენობაა 17.

2. საბჭოს შემადგენლობაში შედიან: საკრებულოს თავმჯდომარე ან/და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს სხვა წევრები და საკრებულოს აპარატის წარმომადგენელი, მერიის (შემდგომში „მერია“) სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები (არა უმეტეს 5 წარმომადგენლისა) და მერიაში ქალთა უფლებების დაცვის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე. საკრებულოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, საბჭოს შემადგენლობაში, ასევე შეიძლება შედიოდნენ: კერძო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები და სპეციალისტები.

3. საბჭოს სახელობით შემადგენლობას განსაზღვრავს და ბრძანებით ამტკიცებს საკრებულოს თავმჯდომარე.

4. საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით საბჭოსთან შესაძლებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობას და საქმიანობას განსაზღვრავს საკრებულოს თავმჯდომარე.

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 31 ივლისის დადგენილება №25 - ვებგვერდი, 05.08.2025წ.

მუხლი 5. საბჭოს ხელმძღვანელობა და მუშაობის წესი

1. საბჭო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სხდომების მეშვეობით.

2. საბჭოს თავმჯდომარეობს საკრებულოს თავმჯდომარე ან მისი დავალებით საკრებულოს ერთ-ერთი წევრი.

3. საბჭოს პირველ სხდომას იწვევს საბჭოს თავმჯდომარე.

4. საბჭოს თავმჯდომარე იწვევს საბჭოს სხდომას 3 თვეში ერთხელ მაინც, ადგენს საბჭოს დღის წესრიგს და უძღვება საბჭოს საქმიანობას. საბჭოს სხდომა მოიწვევა საჭიროების მიხედვით, საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივით ან საბჭოს თავმჯდომარისადმი საბჭოს წევრთა 1/3-ის დასაბუთებული წერილობითი მიმართვის საფუძველზე, რომელსაც თან უნდა ახლდეს საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხების დღის წესრიგი.

5. საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას ახორციელებს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო მისი არყოფნისას საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით – საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

6. საბჭოს სხდომა ღია და საჯაროა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საბჭოს სხდომის დღის წესრიგი, სხდომის ჩატარების დრო და ადგილი უნდა გამოქვეყნდეს საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით, სხდომის ჩატარებამდე 7 დღით ადრე მაინც. საბჭოს წევრებს სხდომის თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ უნდა ეცნობოთ სხდომამდე 3 დღით ადრე მაინც.

7. საბჭოს წევრი უფლებამოსილია, საბჭოს თავმჯდომარეს საბჭოს სხდომის გამართვამდე არანაკლებ 2 დღით ადრე წერილობით წარუდგინოს საბჭოს სხდომის დღის წესრიგში შესატანი საკითხების ნუსხა. საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, დღის

წესრიგში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები.

8. საბჭოს სხდომაზე ცალკეული საკითხების განხილვისას, საჭიროებიდან გამომდინარე, საბჭოს თავმჯდომარის მიერ შეიძლება მოწვეულ იქნენ მერიის თანამდებობის პირები, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები და სპეციალისტები.

9. საბჭოს სხდომა ან სხდომის ნაწილი შეიძლება გამოცხადდეს დახურულად საბჭოს სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, თუ სხდომაზე განსახილველ საკითხთან დაკავშირებული მონაცემების გახმაურება აკრძალული ან შეზღუდულია კანონით.

10. საბჭოს დახურულ სხდომაზე/სხდომის ნაწილზე დასწრების უფლება აქვთ საბჭოს წევრებს, აგრეთვე ამ სხდომაზე/სხდომის ნაწილზე სპეციალურად მოწვეულ პირებს და პირებს, რომლებსაც აღნიშნული უფლება გააჩნიათ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. საბჭოს საჯარო სხდომებზე დამსწრე პირებს უფლება აქვთ, წინასწარი ნებართვის გარეშე, მაგრამ მხოლოდ სხდომის თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში, დაუსვან შეკითხვები საბჭოს წევრებს, გააკეთონ განმარტება და განცხადება, წარადგინონ ინფორმაცია, წინადადება და რეკომენდაცია. ყველა წინადადება და რეკომენდაცია აისახება საბჭოს სხდომის ოქმში. განსახილველ საკითხზე წინადადებები და რეკომენდაციები შეიძლება წარდგენილ იქნეს ასევე წერილობითი ფორმით. ასეთი სახის წინადადებებს და რეკომენდაციებს, საბჭოს სხდომის თავმჯდომარე აცნობს სხდომის მონაწილეებს და დაურთავს სხდომის ოქმს.

12. საბჭოს სხდომაზე წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს საბჭოს სხდომის თავმჯდომარე. სხდომის თავმჯდომარის მიერ წესრიგის დაცვის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებზე მსჯელობა ან კენჭისყრა არ იმართება და სავალდებულოა შესასრულებლად.

13. ობიექტური გარემოებების არსებობისას, საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, საბჭომ მოქმედი კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება შესაძლებელია განახორციელოს დისტანციურად, ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.

14. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი.

15. საბჭოს თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.

16. საკითხი კენჭისყრაზე შეიძლება დადგეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც საბჭოს სხდომაზე დამსწრე ყველა წევრს მიეცემა აზრის გამოთქმის შესაძლებლობა.

17. საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, საბჭოს სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა ხმების ნახევარზე მეტით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს სხდომის თავმჯდომარის ხმა.

18. საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ საკითხებზე, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა საბჭოს წევრებისათვის და საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებისთვის.

19. საბჭოს სხდომა იხურება (სრულდება) დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის ან/და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

20. საბჭოს სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს სხდომის თავმჯდომარე და საბჭოს მდივანი.

21. საბჭოს წევრს, რომელიც არ ეთანხმება საბჭოს გადაწყვეტილებას, უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოსაზრებების შეტანა საბჭოს სხდომის ოქმში.

22. საბჭოს სხდომის ოქმში უნდა აღინიშნოს:

ა) სხდომის ჩატარების თარიღი, დრო და ადგილი;

ბ) სხდომის დაწყების და დასრულების დრო;

გ) სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების და მოწვეული პირების სია;

დ) სხდომის დღის წესრიგით განსახილველ საკითხთა ნუსხა;

ე) სხდომაზე განხილული საკითხები და გამოთქმული მოსაზრებები;

ვ) კენჭისყრის შედეგები;

ზ) სხდომაზე მიღებული წინადადებები და რეკომენდაციები, ხოლო საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ საკითხებზე – გადაწყვეტილებები.

23. საბჭოს სხდომის ოქმი (გარდა იმ საკითხებისა, რომელიც განხილულ იქნა დახურულ სხდომაზე) საჯაროა და ქვეყნდება საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით.

24. საბჭოს სხდომის ოქმს თან უნდა დაერთოს:

ა) სხდომაზე მონაწილე საბჭოს წევრთა რეგისტრაციის ფურცელი;

ბ) სხდომის მასალები განხილული საკითხების შესახებ.

25. საბჭოს სხდომის ოქმი და მასზე თანდართული მასალები ინახება საკრებულოს აპარატში, ხოლო შემდეგ ჰბარდება არქივს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

26. საბჭოს მიერ მიღებული წინადადებები და რეკომენდაციები ეგზავნებათ ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებსა და თანამდებობის პირებს, რომლებიც ვალდებული არიან განიხილონ წარდგენილი წინადადებები და რეკომენდაციები და 1 თვის ვადაში მიაწოდონ საბჭოს ინფორმაცია აღნიშნულ საკითხებზე რეაგირების შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების მდგომარეობის, ეფექტიანობის, მისი გათვალისწინების პერიოდში გამოვლენილი ხელის შემშლელი გარემოებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მათ აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებების შესახებ.

მუხლი 6. საბჭოს თავმჯდომარე

1. საბჭოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს საბჭოს მუშაობას, უზრუნველყოფს საბჭოს მიზნებისა და ამოცანების შესრულებას.

2. საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია:

ა) საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს საბჭოს საქმიანობას;

ბ) განსაზღვროს საბჭოს დღის წესრიგი, მოიწვიოს საბჭოს სხდომა დამოუკიდებლად ან საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნის საფუძველზე და გაუძღვეს საბჭოს სხდომებს;

გ) განსაზღვროს საბჭოს სხდომაზე მოსაწვევ პირთა სია და მოიწვიოს ისინი საბჭოს სხდომაზე;

დ) მოახდინოს საკითხის ინიცირება, მონაწილეობა მიიღოს დებატებში, დასვას შეკითხვები, გააკეთოს განმარტება, განცხადება ან/და მიმართვა;

ე) განსაზღვროს გამომსვლელთა რიგითობა და მისცეს მათ სიტყვა;

ვ) უზრუნველყოს საბჭოს წევრთა უფლებებისა და სხდომის ჩატარების პროცედურების დაცვა;

ზ) აკონტროლოს საბჭოს წევრთა მიერ მოვალეობების შესრულება;

თ) დასვას საკითხი კენჭისყრაზე, გამოაცხადოს კენჭისყრის შედეგები და დახუროს სხდომა;

ი) ხელი მოაწეროს საბჭოს სხდომის ოქმს და საბჭოს მიერ მიღებულ სხვა დოკუმენტებს;

კ) უზრუნველყოს საბჭოს მიერ მიღებული წინადადებებისა და რეკომენდაციების შესაბამისი ორგანოებისა და თანამდებობის პირებისთვის წარდგენა;

ლ) განახორციელოს საბჭოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება;

მ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით დადგენილი სხვა უფლებამოსილებებით.

3. საბჭოს თავმჯდომარის საქმიანობა არ ანაზღაურდება.

მუხლი 7. საბჭოს მდივანი

1. საბჭოს მდივანი:

ა) ორგანიზებას უწევს საბჭოს სხდომის მოწვევას;

ბ) საბჭოს სხდომის მოწვევის შესახებ საბჭოს წევრების განცხადებას/ინიციატივას გადასცემს საბჭოს თავმჯდომარეს;

გ) უზრუნველყოფს საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხების მომზადებას;

დ) უზრუნველყოფს საბჭოს სხდომების ჩატარების ორგანიზებას;

ე) საბჭოს თავმჯდომარის დავალებით ადგენს სხდომის დღის წესრიგს და წინასწარ აწვდის ინფორმაციას საბჭოს წევრებს საბჭოს სხდომის გამართვის ადგილის, თარიღის, დროის და დღის წესრიგის შესახებ და უგზავნის შესაბამის მასალებს, ამ დებულებით დადგენილი წესით;

ვ) ახდენს საბჭოს წევრთა რეგისტრაციას;

ზ) უზრუნველყოფს საბჭოს საქმისწარმოებას, მათ შორის საბჭოს ოქმების და საბჭოს საქმიანობისთვის სხვა აუცილებელი დოკუმენტების შედგენას/წარმოებას/დაარქივებას;

თ) ხელს აწერს სხდომის ოქმს და აცნობს მას სხდომაზე დამსწრე წევრებს;

ი) საბჭოს/საბჭოს სხდომის თავმჯდომარის დავალებით ახორციელებს ინფორმაციის მოძიებას/მიღებას შესაბამისი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ წინადადებების/რეკომენდაციების გათვალისწინების მდგომარეობაზე და წარუდგენს მას საბჭოს თავმჯდომარეს;

კ) ეხმარება საბჭოს სხდომის თავმჯდომარეს სხდომის წაყვანის პროცესში, სხდომაზე წესრიგის დაცვასა და სხდომის ტექნიკურ უზრუნველყოფაში;

ლ) საბჭოს თავმჯდომარის/საბჭოს სხდომის თავმჯდომარის დავალებით ახორციელებს საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ორგანიზაციულ ფუნქციებს.

2. საბჭოს მდივნის არყოფნის შემთხვევაში, საბჭოს მდივნის უფლებამოსილებებს საბჭოს თავმჯდომარის დავალებით ახორციელებს საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

3. საბჭოს მდივნის საქმიანობა არ ანაზღაურდება.

მუხლი 8. საბჭოს წევრი

1. საბჭოს წევრი უფლებამოსილია:

ა) მონაწილეობა მიიღოს საბჭოს სხდომებში, დასვას საკითხი განსახილველად, მონაწილეობა მიიღოს

დებატებში, დასვას შეკითხვები, მიიღოს და შეაფასოს პასუხები, გააკეთოს განმარტება, განცხადება ან/და მიმართვა;

ბ) საბჭოს და საბჭოს თავმჯდომარეს წერილობით წარუდგინოს თავისი შენიშვნები და მოსაზრებები საბჭოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ ყველა საკითხზე;

გ) ისარგებლოს ყველა ინფორმაციით, რომელიც აუცილებელია მისი უფლებამოსილების განსახორციელებლად, გარდა კანონით დადგენილი შეზღუდვებისა;

დ) სხდომაზე დამსწრე წევრმა საბჭოს სხდომის ოქმის გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში საბჭოს თავმჯდომარეს წერილობით წარუდგინოს შენიშვნები სხდომის ოქმში უზუსტობის შესახებ;

ე) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით დადგენილი სხვა უფლებამოსილებებით.

2. საბჭოს წევრი ვალდებულია:

ა) დაიცვას მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის ამ დებულების მოთხოვნები;

ბ) მონაწილეობა მიიღოს საბჭოს მუშაობაში;

გ) არ გაახმაუროს და პირადი ინტერესებისთვის არ გამოიყენოს ინფორმაცია, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაცულია გასაჯაროვებისგან;

დ) არ გამოიყენოს პირადი ინტერესებისათვის თავისი უფლებამოსილება ან/და მასთან დაკავშირებული შესაძლებლობა;

ე) უარი განაცხადოს საბჭოს სხდომაზე იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობაზე, რომლის მიმართაც მას აქვს ინტერესთა კონფლიქტი;

ვ) დაუყოვნებლივ აცნობოს საბჭოს თავმჯდომარეს კანონმდებლობითა და ამ დებულებით განსაზღვრულ მოვალეობათა შესრულების ხელის შემშლელი გარემოებების შესახებ.

3. საბჭოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება:

ა) საბჭოდან გასვლის შესახებ პირადი წერილობითი განცხადების წარდგენის შემთხვევაში;

ბ) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის შემთხვევაში;

გ) თუ მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა საბოლოო ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ან გავიდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადა;

დ) თუ სასამართლომ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარა, გარდაცვლილად გამოაცხადა ან მხარდაჭერის მიმღებად ცნო (თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული);

ე) ზედიზედ 6 თვის განმავლობაში საბჭოს სამუშაო პროცესში მონაწილეობის მიუღებლობის შემთხვევაში;

ვ) მერის მიერ განსაზღვრული ქალთა უფლებების დაცვის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ცვლილების შემთხვევაში;

ზ) საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის/უფლებამოსილების ვადის ამოწურვის და მერიის თანამდებობის პირის, საჯარო მოსამსახურის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში;

თ) გარდაცვალების შემთხვევაში.

4. საბჭოს წევრის საქმიანობა არ ანაზღაურდება.

მუხლი 9. საბჭოს მიერ გაცემულ წინადადებებსა და რეკომენდაციებზე რეაგირების მონიტორინგი

საბჭოს თავმჯდომარეს/საბჭოს სხდომის თავმჯდომარეს შემდეგი სხდომის დღის წესრიგში შეაქვს საკითხი საბჭოს მიერ მიღებული იმ წინადადებების და რეკომენდაციების შესახებ, რომელთა გათვალისწინების მდგომარეობაზეც საბჭომ მიიღო ინფორმაცია შესაბამისი ორგანოს/თანამდებობის პირისგან.

მუხლი 10. ანგარიშგება

1. საბჭო მის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიშს წარუდგენს საკრებულოს ყოველი კალენდარული წლის დეკემბრის თვეში.

2. საკრებულოს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს ანგარიში საბჭოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ მის მიერ განსაზღვრულ ვადაში.

3. საბჭოს ყოველწლიური ანგარიში ქვეყნდება საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით.

მუხლი 11. საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა

საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს საკრებულოს აპარატი.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებები

ამ დებულების გაუქმება, მასში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა შესაძლებელია საკრებულოს მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით.